თინა ცხოვრებაძე *

საქართველოს ეთნიკურად სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი მოქალაქეების პოზიცია ყარაბღის კონფლიქტთან დაკავშირებით (დებატების ანალიზი სოციალური ქსელის ფეისბუქის სივრცეში)

შესავალი

ყარაბაღის კონფლიქტს პირდაპირ თუ ირიბად არაერთი საკითხი უკავშირდება, მაგალითად, აზერბაიჯანისა თუ სომხეთის საშინაო პოლიტიკა, საერთაშორისო სამართალი, სუვერენიტეტი, თვითგამორკვევის პრინციპი, სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობიანი თანაცხოვრების გამოწვევა, რეგიონის მოსაზღვრე ქვეყნების უშუალო ინტერესები და ძალთა გადანაწილება, ევროპის, აზიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები, საქართველოს, როგორც ორი დაპირისპირებული ქვეყნის მეზობელი სახელმწიფოს ინტერესი, თუ მისი, როგორც აზერბაიჯანული რესურსის სატრანზიტო გზის ფუნქცია, სახელმწიფო, რომლის გავლითაც სომხეთმა და აზერბაიჯანმა შესაძლოა მიიღოს სხვადასხვა სახის რესურსი, მათ შორის შეიარაღებაც. ასევე - ქვეყანა, სადაც მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობს ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა.

წარმოდგენილ სტატიაში, სწორედ ბოლო საკითხზე გამახვილდება ყურადღება. კონკრეტულად კი, მთავარი მიზანია, გავი-

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი.

აზროთ, რა გავლენა აქვს ყარაბაღის შეიარაღებულ კონფლიქტს საქართველოს ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ მოქალაქეებზე, ჩართულნი არიან თუ არა საქართველოს ეთნიკურად ქართველი მოქალაქეები ერთი ან მეორე მხარის არგუმენტების მხარდაჭერის პროცესში, გამოხატავენ ნეიტრალურ პოზიციას, თუ არ განიხილავენ კონფლიქტს.

საკითხი ლოკალურ დონეზე აქტურლურია საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებისთვის, ხოლო რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტში - შესაძლო კონფლიქტის პრევენციისთვის.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის კონტენტ ანალიზი. კონკრეტულ საინფორმაციო ლინკზე წარმოდგენილი კომენტარების შინაარსობრივი ანალიზი, რომელიც ყარაბაღის საკითხის გარშემო სხვადასხვა მოსაზრებებისა და პოზიციების კვლევას გუსლიხმობს.

საკვლევ მასალად გამოყენებულია ინტერნეტ საინფორმაციო წყაროების ,,ნეტგაზეთისა“ და „რადიო თავისუფლების“ ფეისბუქ ოფიციალური გვერდები. საკვლევად ამ გვერდების შერჩევა განპირობებულია ორი ძირითადი გარემოებით: პირველი - წარამოდგენილი საინფორმაციო საშუალებები ყველაზე ხშირად აშუქებდნენ კონფლიქტის მიმდინარეობას, სიახლეებს, და ასევე - თითოეული სტატიის ბოლოს „რადიო თავისუფლებისა“ და „ნეტგაზეთის“ პლატფორმებს ახლავს ველი კომენტარებისთვის, რათა მკითხველმა, სურვილის შემთხვევაში, გამოხატოს თავისი მოსაზრება-პოზიცია, რაც შეეხება ამავე საინფორმაციო წყაროების ოფიციალური ფეისბუქ გვერდების შესწავლას, აღსანიშნავია, საინფორმაციო არხების მიერ თავიანთ სოციალურ გვერდზე ახალი ამბების გაზიარების შემდეგ, ძირითადად უფრო მეტი კომენტარი იწერება მომხმარებლების მიერ, ვიდრე მათ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იმავე სტატიების საკომენტარო ველში.

რაც შეეხება საკვლევი კომენტარების შერჩევის პრინციპს, გამოვიყენებთ ქართულ ენაზე განთავსებულ კომენტარებს, რომელთა ავტორებიც ეკუთვნიან საქართვლოს ეთნიკურად სომეხ, აზერბაიჯანელ და ქართველ მოსახლეობას. ეთნიკური წარმომავლობის განმსაზღვრელ ფაქტორად ავიღებთ გვარებს, როგორც ცნობილია, შესაძლებელია დადგინდეს, ესა თუ ის გვარი რომელი ეროვნების ჯგუფს ეკუთვნის, თუმცა აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინტერნეტ სამყაროში ე.წ. ცრუ ანგარიშების დარეგისტრირება და ვინმე კონკრეტული ჯგუფის სახელით სარგებლობა ძალიან მარტივია, ამიტომ კვლევაში წარმოდგენილი კომენტარების ავტორების ეთნიკური ჯგუფის დადგენისას, აღნიშნული ფაქტი გასათვალისწინებელია. საქართველოს მოქალაქეობის განმსაზღვრელ ფაქტორებად კი შერჩეულია ქართულ ენაზე გაკეთებული კომენტარები, ასევე - ავტორის მიერ მითითებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ზუსტედება იგი არის თუ არა საქართველოში მცხოვრები ან ცხოვრების გამოცდილების მქონე პირი, კვლევაში ზოგიერთ შემთხვევაში იქნება მითითებული კომენტარის ავტორის ფეისბუქ სახელი, ხოლო წყაროდ - უშალოდ იმ კონკრეტული სტატიის ფეისბუქ ვებ-გვერდის ლინკები, რომელზეც განთავსებულია სტატია ყარაბაღის რეგიონის, კონფლიქტთან დაკავშირებული ახალი ამბების, მისი ისტორიის შესახებ და აქვს გამოხმაურება კომენტარების ველში. კვლვეის მეორე გამოწვევას წარმოადგენს ,,ნეტგაზეთისა“ და ,,რადიო თავისუფლების“ სარედაქციო ჯგუფის პოლიტიკა, რომელიც სპეციფიკური კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში შლის ელექტრო სტატიების ქვემოთ კომენტარებში განთავსებულ შეხედულებებს, მაგალითად, როგორიც არის კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის მიმართ სიძულვილის ენის გამოვლინება, აგრესია, ერთმანეთის მიმართ ღირსების შეურაცხმყოფელი კომენტარები და მსგავსი, რაც სრულიად გასაგები და მისასალმებელი მიდგომაა, თუმცა, ართულებს რეა-

ლური სურათის შესწავლას. აქვე, სავარაუდოა, საქართველოს ეთ-ნიკურად სომეხი და აზებაიჯანელი მოქალაქეები უმეტეს შემთხ-ვევაში თავისუფლად არ ფლობენ სახელმწიფო ენას, ქართულს, მიმართავენ სომხურ, აზებაიჯანულ, რუსულ ენებზე გამოქვეყ-ნებულ მასალას, უფრო მეტად ვიდეო მასალს, რაც ამცირებს შე-საძლებლობას, მრავლად შევხვდეთ მათ კომენტარებს ქართულ-ენოვანი ციფრულ წყაროებზე. აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ ჩატარებული კვლევა შეზღუდულია თავისი მასშტაბებით და არ ექვემდებარება საქართველოს ეთნიკურად ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი მოქალქეების პოზიციების დახასიათებისას გან-ზოგადებას, იგი წარმოგვიდგენს გავრცელებული მოსაზრებების ნა-წილს, რომელიც წარმოიშვა ყარაბაღის რეგიონში შეიარაღებული დაპირისპირების წამოწყებიდან (27 სექტემბერი), დღემდე (დეკემ-ბრის 20 რიცხვამდე).

ნაშრომი სტრუქტურულად ორი ძირითადი მახასიათებლის მიხედვით ფორმირდება, პირველი - მედია საშუალების ფეისბუქ გვერდების კლასიფიკაცია და თითოეულში ინფორმაციის განთავ-სების ქრონოლოგიურობის პრინციპია დაცული.

ნეტგაზეთის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული ახალი ამბების კომენტარების ველის ანალიზი

28 სექტემბერი 17:32 სთ-ზე განთავსდა სტატია სახელწო-დებით ,,თურქეთისა და რუსეთის ინტერესები და საქართველოს როლი ყარაბაღის კონფლიქტში.“ პოსტის ქვეშ ფიქსირდება ოცდა-ოთხი კომენტარი. აქედან ორი პირის იდენტობა არის ბუნდოვანი, დანარჩენ შემთხვევაში მოსაზრებას აფიქსირებენ ეთნიკურად ქარ-თველი მოქალაქეები. საქართველოს პოზიციაზე საუბრისას ერთ-ერთი მათგანი ემხრობა საქართველოს ნეიტრალიტეტს კონფლიქ-ტის მიმართ, აცხადებს, სხვა ქვეყნების ტერიტორიების მიერთება საქართველოს ინტერესი არ არის, სურს, ასევე, საქართველოს ტე-

რიტორიებიც არ იყოს დავის საგანი და ეკუთვნოდეს საქართველოს. მარინა შაულსის სეხელით დარეგისტრირებული პირი კი წერს - ,,ამ კონფლიქტში ყველაზე უფრო თურქეთის ხელი ურევია" (ნეტგაზეთი, 2020) და ახსენებს ყარსის ხელშეკრულებას, რომელსაც, მისი მოსაზრებით, ვადა 2021 წელს ეწურება.[1]

ამ კომენტარს პასუხობს დათო მოლოდინი, რომელიც მართებულად აზუსტებს, რომ ყარსის ხელშეკრულებას ვადა არ აქვს და საქართველოს საზღვრები თურქეთთან დემარკირებული აქვს, აქვე აღნიშნავს, რომ გამყიდველ-მოღალატე სტალინმა და ორჯონიკიძემ აჩუქეს დვალეთი რუსებს, ტაო - თურქეთს, ლორე - სომხეთს, გარეჯის ნაწილი და საინგილო - აზერებს, ,,ეგ მიწები არც ერთს ომით არ წაუღია, საჩუქრად მიიღეს ბელადისგან" (ნეტგაზეთი, 2020). ჩამოთვლილ ტერიტორიებს გოგი გუნია ამატებს სოჩას. შემდეგ კომენტარში ვკითხულობთ, რომ სომხეთს აქვს ოკუპირებული აზერბაიჯანის ტერიტორიები, რომელიც მან მიისაკუთრა რუსეთის წაქეზებით, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიების დატოვების შემთხვევაში, ომიც არ იქნება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ლია ლაბაძეს არგუმენტად მოჰყავს სომხებისა და აზერბაიჯანლების, როგორც ერის წარმოშობის ეთნიკური წინაპირობები, მისი

[1] შენიშვნა: ვებ პორტალზე - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნებულია დოკუმენტი სახელწოდებით: ,,ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ", რომლის მე-14 მუხლის თანახმადაც, ,,ხელშეკრულება დადებულია ათი წლის ვადით. იგი ავტომატურად გაგრძელდება შემდგომი ხუთი წლის ვადით, თუ რომელიმე მხარე ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე წინასწარ წერილობით არ მიმართავს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილების თაობაზე ხელშკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ." ამავე მუხლში ზუსტდება - ,,შემდეგ ხელშეკრულებებშიც, მათი მოქმედების გაუქმებასთან დაკავშირებით კვლავაც ძალაში რჩება სამი თვით ადრე წერილობით შეტყობინების პრინციპი, ამგვარი შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში ხელშეკრულება კვლავაც გაგრძელებულად ჩაითვლება შემდეგი ხუთი წლის ვადით." https://matsne.gov.ge/ka/document/view/1207454?publication=0

აზრით, აღნიშნული მიწები ეკუთვნოდა საქართველოს და შემდეგ მოხდა ამ ტერიტორიების გაჩუქება. ავთანდილ ქიმაძე კი წერს ,,საქართველო ერთადერთი დამოუკიდებელი ქვეყანაა რეგიონში, რომელიც მარტოა და თავის თავზე თვითონ აგებს პასუხს“ (ნეტგაზეთი, 2020).

სამწუხაროდ ვერ მოხერხდა იდენტიფიკაცია მიხელ გულ რომელი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელია, დიდი ალბათობით, ქართველი აცხადებს, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანია და მიესალმება ერთიან, დამოუკიდებელ აზერბაიჯანს, ამავე პირს ეხმაურება ლია ლაბაძე და კვლავ აღნიშნავს, რომ ყარაბაღი არც აზერბაიჯანისაა და არც სომხეთის, მზია ყაველაშვილი ეხმაურება ამ მოსაზრებას, აზუსტებს - საუკუნეების წინ რა იყო იმას კი არ ომობენ, რაც ახლა იყო - იმას, ყარაბაღი აზებაიჯანია, როგორც აფხაზეთია ჩვენი (იგულისხმება საქართველოსი). ლია ლაბაძეს პასუხობს მიხეილ გულ და რიტორიკულ კითხვას სვამს ,,ალბანეთის მეფეც ხომ არ წამოვაყენოთ ბარემ? ან ირანს ხომ არ განვუცხადოთ პრეტენზიები ტერიტორიებზე? ერთ დროს ხო დავიპყარით! ეგ არის ისტორია! დღეს ვცხოვრობთ აწმყოში და არა წარსულში! დღეს აზერბაიჯანი არსებობს და სომხებ-რუსების მიერ მითვისებული აზერბაიჯანის მიწა ყარაბახი!“ (ნეტგაზეთი, 2020) გელა ბერიაშვილის პოზიციის თანახმად, საქართველო იძულებულია თქვას, რომ მშვიდობა სურს, რადგანაც სუსტი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები ქვეყანას სუსტ პოზიციაში აყენებს, მისი აზრით, ომი სუსტ სახელმწიფოს აშინებს, ძლიერი კი - მზად არის. ია გუგეშაშვილის აღქმით, ორი დიდი იმპერია (რუსეთი და თურქეთი) ეჯახება ერთმანეთს, ხოლო რომელი „ჩაკლავს“ საქართველოს აი, ეს არის საკითხავი, და არა - რა ინტერესები აქვს საქართველოს. მზია ყაველაშვილის მოსაზრებით, რუსეთი ყარაბაღის საკითხში არ ერევა, მხოლოდ მაშინ ამოქმედდება თუკი, უშუალოდ სომხეთის ტერიტორიაზე იქნება ომი, იგი ფიქრობს, რომ რუსეთს ეკონომიკური

ინტერესები აქვს, ასვე - კარგი დამოკიდებულება თურქეთთან და აზერბაიჯანთან ამიტომ, მათ სომხეთის გამო არ გადაიკიდებს. თორნიკე ხაბულავა აცხადებს, რომ მეზობლებს შორის მშვიდობის მომხრეა, თუმცა იხსენებს ბაგრამიანის ბატალიონს აფხაზეთში და სვამს კითხვას, აქედან გამომდინარე ვისი ინტერესები უნდა დაიცვან ქართველებმა?! გუჯა გველუკაშვილის მოსაზრებით, ბუნებრივია ფაქტი, თურქეთი აზერბაიჯანის ინტერესებს იცავს, ხოლო რუსეთი საქციელი აკვირვებს, თუ რატომ ამაზე კონკრეტული პასუხი კომენტარში არ ჩანს. დიანა ქარდავას მოსაზრებით, საქართველოს თავისი ტერიტორიების დაცვის და დაბრუნების ინტერესი არ აქვს და ყარაბაღი რად უნდა?! ნინო კვლივიძის მოსაზრებით კი, აზერბაიჯანმა დააგვიანა ფრონტის ხაზის გარღვევა, წუხს დაღუპული პირების გამო, ფიქრობს, ორივე ქვეყანა ნატრობს ისეთი ძალის გამოჩენას, რომელიც მათ შეარიგებს. (ნეტგაზეთი, 2020).

6 ოქტომბერს ნეტგაზეთის ფეისბუქ ჯგუფში სახელწოდებით ,,სამხრეთ კავკასიის ამბები", ერთ-ერთმა წევრმა ლადო ვახტანგიშვილმა გააზიარა ინფორმაცია სოციალური ქსელიდან ტვიტერი, სადაც სომხები აცხადებენ, რომ საქართველო ატარებს თვითმფრინავებს დატვირთულს იარაღით, ისრაელიდან აზერბაიჯანის მიმართულებით. სომხეთში მცხოვრები სომხები ქართველებს მოიხსენიებენ თეთრკანიან თურქებად, პირებად, რომლებმაც სომხეთს წაართვეს ტერიტორიები და ჩართულნი არიან ტერორისტულ საქმიანობაში. მსგავს კომენტარებს მცირე რაოდენობით ქართველი ეხმაურება, უარყოფენ გავრცელებულ ინფომრაციას, აღნიშნავენ, რომ ეს ყოველივე არის ცრუ ინფორმაიცია, ზოგიერთი მათგანი სომხებს შეახსენებს აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ განხორციელებულ მათ ქმედებებს და მოუწოდებს, შეწყვიტონ მსგავსი ბრალდებები, აზუტებენ - საქართველო არის ნეიტრალური და მხარს უჭერს მშვიდობას რეგიონში.

7 ოქტომბერს 21:37 სთ-ზე განთავსებულ სტატიას ,,ერევანი უარყოფს ბაქოს განცხადებას ყარაბაღში ქურთი მებრძოლების შესახებ“ აქვს კომენტარი, რომლის ავტორიც რევიკ კარაპეტიანი იუმორისტულად წერს: ,,აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, სომხეთის მხარეს იბრძვიან ჩაკ ნორისი, ჯეკი ჩანი, ბეტმენი, რკინის ადამიანი, სომხები, რუსები, ტაჯიკები, ყაზახები...“ (ნეტგაზეთი, 2020), როგორც კომენტარის შინაარსიდან ირკვევა, მისი ავტორი თვლის, სომხების მხარდამჭერ ძალებზე აზერბაიჯანს გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს და/ან ცრუ ინფორმაციას ავრცელებს, როგორც ვიცით, ქურთ მებრძოლებთან დაპირისპირებაშია თურქეთის სახლმწიფო, რის გამოც, აზერბაიჯანიც მათ შესაძლოა, ირიბად, მაგრამ მაინც დაპირისპირებულ მხარედ განიხილავდეს.

10 ნოემბერი 04:05 სთ-ზე ნეტგაზეთის ფეისბუქ გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია სახელწოდებით ,,რუსი სამშვიდობოები ყარაბაღისკენ უკვე დაიძრნენ - რუსეთის თავდაცვის სამინისტრო“. აღნიშნულს გამოეხმაურა ეთნიკურად ქართველი ხუთი პირი, რომელთა მოსაზრება მსგავსია, მიაჩნიათ, რომ ,,რუსი სამშვიდობო ბუნებაში არ არსებობს“ (ნუგზარ მშვიდობაძე), როგორც აფხახზეთში „დაამყარა მშვიდობა“ რუსეთმა, ასევე მოხდება ყარაბაღშიც. მეორე მომხმარებელი ახალგორში არსებულ სიტუაციას ადარებს ყარაბაღში მიმდინარე პროცესებს: ,,სამშვიდობოები...ერთი ახალგორში დგანან სამშვიდობო მისიით..“ (ნეტგაზეთი, 2020). ფაქტია, ქართველები საქართველოს კონფლიქტების სპეციფიკის აღქმიდან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ რუსული სამშვიდობოები ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისას უფრო მეტად ნეგატიურ როლს შეასრულებენ, ვიდრე - მშვიდობისკენ ორიენტირებულს.

11 ნოემბერს 15:38 სთ-ზე გამოქვეყნდა ინფორმაცია საქართველოს მიერ რუსი სამშვიდობოებისთვის ყარაბაღის მიმართულე-

ბით განსახორციელებელი ფრენისთვის საჰაერო სივრცის გახსნის შესახებ, ამ ამბავს ეხმაურება ეთნიკურად ქართველი ერთი მომხმარებელი, მისი აზრით, ეს არის სამარცხვინო გადაწყვეტილება და საქართველოს საჰაერო სივრცე მაინც არ უნდა გაეხსნათ (ნეტგაზეთი, 2020). ამგვარ პოზიციას რუსეთ-საქართველოს ომი განაპირობებს, რადგანაც რუსეთი საქართველოსთვის ოკუპანტი სახელმწიფოა, საქართველოს მოქალაქეებისთვის ქართული საჰაერო სივრცის გახნსა მათთვის სამშვიდობოების გადასაყვანად ყარაბაღის მიმართულებით, მიუღებელია.

13 ნოემბერს 4:35 სთ-ზე განთავსდა ინფორმაცია ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის კელბაჯარიდან წასვლისა და სახლების გადაწვის შესახებ. პოსტს გამოეხმაურა საქართველოს ეთნიკურად ქართველი სამი და ეთნიკურად სომეხი ერთი მოქალაქე. პირველი მათგანი იხსენებს თუ როგორ დაუტოვეს ქართველებმა სახლ-კარი და ავეჯი ინგუშებს, ხოლო სომხებს მოუწოდებს „გადახედონ ისტორიას“ გათავისუფლდნენ „შურისა და ბოღმისგან“, რადგან სხვისი ტერიტორია აქვთ დაპყრობილი და „სამართლიანობის აღდგენას ვერ ინელებენ.“ ერთ-ერთი კომენტარის ავტორის შეხედულებით, სომხებს აქვთ ნება მოიმოქმედონ ის რაც სურთ, აზერბაიჯანლები კი თავიანთ მიწას იბრუნებენ ინფრასტქრუქტურის გარეშე. გოჩა ქომეთიანის განცხადებით კი, უმჯობესია სომხებმა არ დაწვან მათი საკუთრება, რადგან ცოტა ხანში, რომელიმე აზერბაიჯანელი ლიდერი მალე გააბრაზებს პუტინს ამიტომ, ისვე დაუბრუნებენ სომხებს სახლ-კარს, შემდეგ კვლავ წაართმევენ, გადასცემენ აზერბაიჯანლებს და ასე უსასრულოდ, ხოლო თუ პუტინის ინტერესებს სრულიად მოერგებიან (რაც საკმაოდ არაკორექტულად წერია კომენტარში) ყველაფერი კარგად იქნება (ნეტგაზეთი, 2020).

8 დეკემბერს 16:16 სთ-ზე განთავსდა ახალი ამბავი, სახელწოდებით: ,,სომხეთის კათალიკოსი ფაშინიანს გადადგომისკენ მო-

უწოდებს, აქციები ერევანში“, პოსტის ქვეშ კომენარების ველში ფიქსირდება 6 კომენტარი აქედან 5 არის ქართული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. მათი მიერ გამოხატული მოსაზრებები შეიცავს უცენზურო ხასიათის შინაარსს, ისინი სომხეთის პატრიარქს აკრიტიკებენ ერთმორწმუნე რუსეთის მხარდაჭერის გამო და ამ ვითარებას საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლების მიერ გაჟღერებულ პოოზიციებს ადარებენ, მათი აზრით, „პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში რელიგია არის შეფარული და ასრულებს რუსულ მითითებებს.“ (ნეტგაზეთი, 2020) სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ სტატიაში მითითებულია სომხეთის კათოლიკოსის გარეგინ მეორის განცხადებიდან ციტატა, სადაც არ ფიქსირდება რუსეთის ერთმორწმუნეობის შესახებ რაიმე სახის არგუმენტი, მოცემული მონაკვეთის მიხედვით, კათალიკოსი ფაშინიანს მოუწოდებს გადადგომისკენ, რათა შემცირდეს შიდაპოლიტიკური დაძაბულობა და აიცილონ საზოგადოებრივი ცხოვრების რყევები, შესაძლო დაპირისპირება და ტრაგიკული შედეგები.

10 დეკემბერს 22:00 საათზე, ნეტგაზეთის ფეისბუქ გვერდზე განთავსდა ინფორმაცია ერდოღანის მიერ კავკასიაში „ექვსეულის პლატფორმის“ შექმნის სურვილის შესახებ, კომენტარების ველში ფიქსირდება 7 კომენტარი, რომელთაგანაც 5 ეკუთვნის ქართული გვარების მქონე ავტორებს, მათი პოზიციები ერთმანეთის მსგავსია და, მიიჩნევენ, რომ ისტორია მეორდება: „სამი ისტორიული მტრის კოალიცია, პლიუს აზერები და სომხები, ნატო აქაურობას!“ (ნეტგაზეთი, 2020) - წერს ერთ-ერთი მათგანი, ნაწილი მიიჩნევს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს მისი მოსაზღვრე ქვეყნები ინაწილებენ - თურქეთი აზერბაიჯანს, ირანი - სომხეთს, საქართველო კი რუსეთს ერგო, თვლიან, რომ საქართველოს პოზიციით არვის ინტერესდება და იმედოვნებენ, თურქეთის პრეზიდენტის - ერდოღანის მიერ გაცხადებულ იდეას ასრულება არ უწერია.

რაც შეეხება **„რადიო თავისუფლების“ ფეისბუქ გვერდზე ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ განთავსებულ სტატიებს,** აღსანიშნავია, ამ საინფორმაციო საშუალებას უფრო მეტი ფეისბუქ მომხმარებელი მიმართავს და აფიქსირებს მოსაზრებას.

27 სექტემბერ (ყარაბაღში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების დღეს) 14:07 სთ-ზე გამოქვეყნდა სტატია ყარაბაღში სტრატეგიული სიმაღლეების დაკავებისთვის აზერბაიჯანის ბრძოლის შესახებ. კომენტარებს აკეთებენ ეთნიკურად ქართული და აზერბაიჯანული გვარების მქონე პირები. იკვეთება რამდენიმე ტიპის პოზიცია, პირველი - თბილისისგან განსხვავებით, ბაქო რაღცას მაინც ცდილობს, მეორე პოზიცია, რომელიც გამოიკვეთა არის ომის შეწყვეტისკენ მოწოდება, რადგან თავიდან იქნას არიდებული ადამიანების ხოცვა-ჟლეტა, სისხლისღვრა, მით უმეტეს, პანდემიის დროს, როდესაც ვირუსს ისედაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მესამე ტიპის კომენტარები ძირითადად რუსეთს ომის მაპროვოცირებლად წარმოადგენს, ზოგიერთს კი აინტერესებს, თუ ვის ეკუთვნის ,,სინამდვილეში“ ყარაბაღი, სადაც ჩნდება აზერბაიჯანული სახელისა და გვარის მქონე პირის პასუხი, რომელიც ინგლისურად წერს, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანის ერთ-ერთი, უძველესი რეგიონია, რაზეც ეთნიკურად სომეხი მომხმარებლის კომენტარი საკმაოდ აგრესიულად ჟღერდა, ხოლო ეთნიკურად ქართველი წერს, რომ ამ ისტორიულ მოვლენებს ახლა არ აქვს მნიშვნელობა, რადგან დღეს ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ყველაზე მეტად ზარალდება შექმნილი ვითარების გამო. (რადიო თავისუფლება, 2020)

15 ნოემბერს გამოქვეყნებულ სატატიაში ,,წაგებული, გამარჯვებული, გახარებული“ წარმოდგენილია კავკასიის რეგიონში ყარაბაღის რეგიონის გამო შექმნილი ახალი რეალობის ანალიზი, გამოხმაურებებში კი ვკითხულობთ სხვადასხვაგვარ პოზიციებს რუსეთის, თურქეთის, სომხეთის, საქართველოსა და აზებაიჯანის სარ-

გებელსა და გამოწვევებზე. კომენტარების უმრავლესი ნაწილი ეკ-უთვნის ეთნიკურად ქართველებს, თუმცა ზოგიერთი კომენტარის ავტორის შესაძლო ეთნიკური კუთვნილების დადგენა რთულია, ამისდა მიუხედავად, შეიძლება ითქვას, კომენტართა შინაარსების მიხედვით, მოქალაქეები ფიქრობენ, რუსეთს არაფერი მოუგია, ამ კომენტარების საპასუხოდ ვინმე გაბო გაბო წერს - რუსეთის ზეგავლენის გაზრდა არ ჯობია თურქეთის ზეგავლენის გაზრდას? თურქეთი წარსულს იმეორებს, ასევე აღნიშნავს აზებაიჯანის ჯარის მიერ ყარაბაღში ეკლესიების განადგურების შესახებ, თურქეთში აია სოფიას მეჩეთად გადაკეთებისა და გარეჯის აზებაიჯანის კუთვნილებად გამოცხადების შესაძლებლობის შესახებ, ხოლო ფეისბუქ გვერდზე ირმა ირმად რეგისტრირებული პირი მას პასუხობს, რუსეთმა საქართველოს ეკლესიებიც და სარწმუნოებაც დაანგრია, იგი გაბო გაბოს ურჩევს, ქრისტეს სახელით არ გაყიდოს სამშობლო, საპასუხოდ კვლავ კითხვას იღებს, წართმეულ გარეჯს კეთილმეზობლურად დააბრუნებენ თუ სომხებივით გაგვისწორ-დებიან (თურქები და აზერბაიჯანლები საქართველოს), რუსეთში კი სოფლის პროდუქტის გატანაა შესაძლებელი და უამრავი ქარ-თველი ცხოვრობს, რის გამოც საქართველომ რუსეთთან კარგი ურ-თიერთობა უნდა დაამყაროს, რაც შეეხება მომდევნო კომენტარებს, ფიქრობენ, რომ ომი არ დასრულებულა და ყველაფერი ახლა იწყ-ება, სიახლე კი ის არის, რომ თურქეთს ყავს თავისი ძალები კავ-კასიის რეგიონში, ხოლო რუსეთმა კავკასიის მესამე სახელმწი-ფოშიც შეიყვანა თავისი სამხედრო ძალა. (რადიო თავისუფლება, 2020)

26 ნოემბერს 16:34 სთ-ზე ,,რადიო თავისუფლების“ ფეისბუქ გვერდზე განთავსდა სტატია: ,,აზერბაიჯანის პარლამენტი მოუწო-დებს ქვეყნის მთავრობას, გაიწვიოს საფრანგეთი ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავჯდომარეობიდან,“ აზერბაიჯანის პარლამენტი აპ-როტესტებს საფრანგეთის სენატის მიერ მიღებულ რეზოლუციას

ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, აღნიშნულ ახალ ამბავს ეხმაურებიან ძირითადად ქართველი და ერთი, სავარაუდოდ ეთნიკურად სომეხი მოქალაქეები, ეთნიკურად ქართველი ავტორები მიიჩნევენ, რომ სომხეთის ლობისტური ჯგუფი აქტიურად და ეფექტურად მოქმედებს საფრანგეთში, მომხმარებელი, რომლის სახელი ფეისბუქ გვერდზე არის ჟანა პეტრაიტის, აცხადებს, რომ სომხები საფრანგეთში მე-6 საუკუნიდან ცხოვრებენ, ხოლო მეორე ტალღა საფრანგეთში ოსმანთა იმპერიის დაშლის შემდეგ მოხვდა, შესაბამისად, საფრანგეთი ზრუნავს აწ უკვე საფრანგეთის მოქალაქე ეთნიკურ სომხებზე და მათი პოზიციების გაგება შეუძლია, აღნიშნულ კომენტარს ეხმაურება რამდენიმე ეთნიკურად ქართველი, რომლებიც სომხებს სხვადასხვა ტერიტორიების მისაკუთრებაში ადანაშაულებენ, ნაწილი მათგანი სომხებს ურჩევს, გამოვიდნენ წარსულის განდიდებიდან და აწმყოს, შესაძლო განვითარების შანსებს ნუ გადააყოლებენ „მირაჟს.“ (რადიო თავისუფლება, 2020)

16 დეკემბერს 21:21 სთ-ზე გავრცელდა ინფომაცია სახელწოდებით: ,,მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის რამდენიმე ათეული სამხედრო ჩავარდა ტყვედ“. სტატიას აქვს ცამეტი კომენტარი, მათგან მხოლოდ ერთი ეკუთვნის ეთნიკურად სომეხ პირს, ხოლო დანარჩენი - ეთნიკურად ქართველებს. ერთ-ერთი ქართველი აცხადებს, რომ ამ დატყვევებული პირების მსგავსად, რუსებიც უნდა დაატყვეონ აზერბაიჯანლებმა, რასაც ეხმაურება ეთნიკურად სომეხი პირი და ამბობს - ,,სომხების შემდეგ ქართველების დრო მოვა კავკასიაში“ (რადიო თავისუფლება, 2020), მიმართავს კომენტარის ავტორს, რომ მას მცდარი წარმოდგენა აქვს გეოპოლიტიკის შესახებ. ამავე კომენტარზე პასუხობს ეროვნებით ქართველი, რომელიც აცხადებს, ქართველების დრო კარგა ხანია მოსულია, აფხაზეთში სამოქალაქო ომის დროიდან, ხოლო ვინც მაშინ ,,რუსებს უძვრებოდა იმათი დღე მოვიდა“ (რადიო თავი-

სუფლება, 2020). ამ თემატიკის შემდეგ კომენტარები უკავშირდება რუსეთის მიზნებს და ფაშინიანის გულუბრყვილობას, რათა ენდო რუსებს, რომელთა ინტერესშიც შედის კონფლიქტის შენარჩუნება და იქ თავიანთი ჯარის განთავსება, რითაც აქვთ შესაძლებლობა აკონტროლონ ორივე სახელმწიფო (აზერბაიჯანი და სომხეთი), რაც მშვიდობის გარანტად ნამდვილად არ ესახება ქართველი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს.

17 დეკემბერს 21:28 წუთზე განთავსდა ელექტრონული სტა-ტია სახელწოდებით: ,,პუტინმა კვლავ გაიმეორა, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიოტრიაა.“ პოსტს აქვს სამოცდათერთმეტი კომენტარი, რომელთა ავტორების სრული უმრავლესობა გვარების მიხედვით ქართულ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. კომენტატორთა ნაწილი მიიჩნევს, პუტინი თუ ყარაბაღს საერთაშორისო სამართლის მიხედვით აზერბაიჯანის ნაწილად აცხადებს, მაშინ რატომ უჭერს სეპარატიზმს მხარს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (ე.წ. სამხრეთ ოსეთში), რომლებიც ასევე საერთაშორისო სამართლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიული ნაწილია. კომენტართა ნაწილი უკავშირდება სომხების პოზიციის ცვლილებას, რომელიც რუსეთისგან ჩამოცილების პოლიტიკას ეხება, თვლიან, რომ პუტინმა ამგვარად შური იძია სომხეთზე, გატარებული პოლიტიკის გამო და ,,დააჩოქა“ ფაშინიანი და სომეხი ხალხი. ხოლო აზერბაიჯანს არასდროს გაუკრიტიკებია რუსეთი, იმისდა მიხედავად, ყველამ იცოდა კონფლიქტში მისი (რუსეთის) დამსახურების შესახებ (კომენტარის ავტორს არ აქვს მითითებული გვარი და ფიქსირდება სახელწოდებით - მა ტა), რასაც მოპასუხეთა ნაწილი ეთანხმება, დიდ ძალას, მაგალითად დათვს ტყეში, როდესაც გადაეყრები ბაბა უნდა დაუძახო, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ რუსეთი საგინებელია და გაჩუმება ან მისდამი მორჩილი პოზიციები დასაგმობია. ზოგიერთი პირი კი თვლის,

რადგან თურქეთი აზეგაიჯანის მოკავშირეა, რუსეთი ვერ ბედავს აზერბაიჯანის წინააღმდეგ წასვლას, საქართველოს კი მსგავსი ძლიერი ხილული მოკავშირე უშუალოდ რეგიონში არ ჰყავს და ამიტომ, რუსეთთან პირისპირ მარტო დარჩა. ალიევმა კი, ევროპას მკაცრად განუცხადა, ყარაბაღი აზერბაიჯანია, არ აპირებს მის დათმობას და ფაქტიურად უგულვებელყოფს ევროპის პოზიციას, რაშიც მას ეთანხმება აზერბაიჯანელი ხალხი და არვინ აკრიტიკებს, ომის წამოწყების გამო, არამედ პირიქით - მხარს უჭერენ და მისით აღფრთოვანებულნი არიან. კომენტარს ეხმაურება მოქალაქეები, რომელთა აზრით, საქართველოს ოფიციალურმა პირებმა ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული განცხადება გააკეთეს, რომ თითქოს ომი საქართველომ დაიწყო, როდესაც ნათლად ჩანდა უამრავი ფაქტი თუ როგორ უტევდა რუსეთი საქართველოს. აქვე სომხების რეაქციას იხსენებენ, რომლებმაც ზოგიერთ პოლიტიკურ ფიგურას თითქმის სიცოცხლის ფასად აზღვევინეს ,,უკან დახევა.“ აქვე ვხვდებით მოსაზრებას, რუსეთის ყარაბაღის ტერიტორიაზე შესვლით, შესაძლო ახალი ,,პოლიგონი“ მიიღო კავკასიამ (რადიო თავისუფლება, 2020).

დასკვნა

ყარაბაღის კონფლიქტის შეიარაღებული ფაზის განახლების დღიდან (27 სექტემბერი) 20 დეკემბრამდე ,,რადიო თავისუფლებისა“ და ,,ნეტგაზეთის“ მიერ თავის ფეისბუქ გვერდზე განთავსდა ახალი ამბების ნაწილი, რომელთაგან ზოგიერთს აქვს ფეისბუქ კომენტარების დაფიქსირების კუთხით მომხმარებლების მაღალი აქტივობა, კვლევის დასაწყისისას არსებობდა ვარაუდი, რომ საქართველოს ეთნიკურად ქართველები, სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეები დააფიქსირებდნენ საკუთად მოსაზრებებს, რომელთა შესწავლის საშუალებითაც შევძლებდით დაგვენახა ის ძირითადი შესაძლო ტენდეციები, რომლებიც ყარაბაღში შექმნილი მდგომარე-

ობის გამო საქართველოში ვითარდება. აღსანიშნავია, რომ კომენ-ტართა უმეტესობა ეკუთვნის ეთნიკურად ქართველებს, ხოლო ეთ-ნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეების მოსაზრებები ხშირად არ ფიქსირდება, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს მათი მიერ აგრესიული, ღირსების შემლახავი შინაარსის მქონე კო-მენტარების განთავსების შემდეგ სარედაქციო პოლიტიკით, რომე-ლიც მსგავსი ხასიათის კომუნიკაციას კომენტარების წაშლით უმ-კლავდება. ენობრივი ბარიერის ფაქტორიც აქტულაურია, რადგან საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი და აზებაიჯანელი მოქალაქეების მცირე ნაწილი ფლობს სახელმწიფო ენას - ქართულს, სამომავლო, საინტერესო იქნება ვიკვლიოთ, რამდენად ახლობელ პრობლემად აღიქვამენ საქართველოს ეთნიკური უმცირესობები (სომხები და აზერებაიჯანლები) ყარაბაღში მიმდინარე კონფ-ლიქტს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის შედეგები შეზღუდულია და ასახავს საზოგადოებაში მიმდინარე ძირითად ტენდენციებს. დაკვირვების შედეგად კი გამოიკვეთა, რომ ეთნიკურად ქართვე-ლები ფიქრობენ, მართებულია საქართველოს მიერ კონფლიქტის მსვლელობის მიმართ ნეიტრალური პოზიციის დაფიქსირება, რად-გან საქართველოს მიზანი არ არის მეზობელი ქვეყნების სახელ-მწიფო ტერიტორიების მითვისება, მხარს უჭერს მათ სუვერენი-ტეტს და მშვიდობას რეგიონში, აგრეთვე მოელის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭე-რას. გვხვდება ისეთი პოზიციებიც, რომლებიც სომხებს შეახსენებენ აფხაზეთის კონფლიქტში ბაგრამიანის ბატალიონის მიერ ქართვე-ლების წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებას და სვამენ კითხ-ვას, საქართველომ ხომ არ უნდა გადახედოს თავის პოზიციას და აირჩიოს მხარე, რომელსაც მიანიჭებს გარკვეულ უპირატესობას ყა-რაბაღის კონფლიქტის მოგვარების მცდელობისას.

მეორე ასპექტად გამოიყოფა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსაზღვრე დიდი სახელმწიფოების, განსაკუთრებით, თურქეთისა და რუსეთის ინტერესები, მოქალაქეების ნაწილი მიჩნევს, რომ კავკასია ისტორიულად ყოველთვის იყო დიდი იმპერიების დაპირისპირების ადგილი, სადაც თავისი ინტერესების მიხედვით ომობდნენ, ირანი, თურქეთი, რუსეთი, ეს ტენდენცია კი დღესაც შესამჩნევია. თურქეთი კვლავ დაბრუნდა რეგიონში (ყარაბაღში თურქული სადამკვირვებლო მისიის ფორმატით და გამოკვეთილად მხარს უჭერს აზერბაიჯანს, არის მისი სტრატეგიული პარტნიორი, მოკავშირე), ხოლო რუსეთმა საქართველოა და სომხეთის შემდეგ, უკვე მესამე სახელმწიფოშიც - აზერბაიჯანში განათავსა ბაზები. რაც შეეხება რუსეთის ინტერესებს, ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, რუსეთმა სომხეთი მიატოვა, რადგან არ უღირდა სასწორზე დაედო ურთიერთობა თურქეთსა და აზერბაიჯანთან, რომლებთანაც ეკონომიკური კავშირი და პარტნიორობა აკავშირებს, აქვე ჟღერდება მოსაზრება, რომ რუსებმა სომხები დასაჯეს ქვეყნაში დაწყებული დემოკრატიული პროცესების გამო, რადგან ფაშინიანის ხელისუფლებამ რუსული ორბიტიდან გასვლა სცადა.

ეთნიკურად ქართველი მოქალაქეები კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტებს საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და საბჭოთა კავშირის მზაკვრულ პოლიტიკას უკავშირებენ. მათი განცხადებით, სტალინმა და ბერიამ მოახდინეს ახალი ტერიტორიული წესრიგის ფორმირება, მაგალითად საქართველოს მიწების გაჩუქებით, ასევე სომხებსა და აზერბაიჯანლებს შორის ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავებით, ქართველთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ისტორიული არგუმენტებით ვერ მოგვარდება აწმყოში შექმნილი გამოწვევები და სამხრეთ კავკასიის სამი დამოუკიდებელი ქვეყანა უნდა დაემორჩილოს საერთაშორისო სამართლით

აღიარებულ პრინციპებს და პატივი სცენ ერთმანეთის სუვერენიტეტს.

საგულისხმოა ის პარალელები, რომლებსაც ეთნიკურად ქართველი მოქალაქეები ხედავენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებით. მათი აზრით, რუსეთი ავლენს ორმაგ სტანდარტს, როდესაც აცხადებს, რომ ყარაბაღი საერთაშორისო სამართლის თანახმად ეკუთვნის აზერბაიჯანს (რაც მართებული დებულებაა), თუმცა ასევე ეკუთვნის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ე.წ. სამხრეთ ოსეთი) საქართველოს, რასაც რუსეთი ამ ტერიტორიული ერთეულების ოკუპაციით პასუხობს და არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ქართული გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოს ეთნიკურად ქართველი მოქალაქეები ფიქრობენ, რომ რუსეთის სამშვიდობოები ყარაბაღის ტერიტორიაზე ისევე ნეგატიურ გავლენას იქონიებენ, როგორც - საქართველოს შემთხვევაში, მათ უფრო კონფლიქტის მაპროვოცირებლად ხედავენ, ვიდრე მშვიდობის მხარდამჭერებად. ქართველებს აქვთ მოლოდინი, რომ ყარაბაღში ომი ჯერ არ დასრულებულა, არამედ ახლა იწყება, რადგან რუსეთს თავისი დომინანტური პოზიციის შენარჩუნება და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონტროლი, სწორედ დაძაბულობის შექმნითა და იარაღით სურს.

რუსეთის ქომაგად ჩანს ფეისბუქ ანგარიშები, რომელთა სახელდების მიხედვითაც რთულია დადგინდეს ესა თუ ის პირი რომელ ეთნიკურ ჯგუფს შეიძლება ეკუთვნოდეს. გვხვდება ერთმორწმუნე რუსეთის ცნება, იქვე აღინიშნება, რომ თურქეთს რუსეთი ჯობს, რადგან მუსლიმური თურქეთი ავიწროებს ქრისტიანებს, იხსენებენ ბოლო მოვლენას, როდესაც ქრისტიანების მიერ აგებული ქრისტიანული ტაძარი აია სოფია თურქებმა მეჩეთად გადაკეთეს, ხოლო ასევე მუსლიმი აზერბაიჯანლები საქართველოს დავით გარეჯის საკითხზე ედავებიან, ეს კი ქართველების მიმართ შესაძლო აგრესიის მომასწავლებელია, რაც საკუთარ თავზე იწვნიეს სომხებმა

მისი მუსლიმი მეზობლების მხრიდან, რუსეთი კი ამგვარ ვითარებაში, რატომღაც მხსნელად მიიჩნევა. მეორე არგუმენტი ეკონომიკურ მოგებას უკავშირდება, ქართული პროდუქციისთვის საბაზრო და დასაქმების პოტენციალის მქონე სახელმწიფო რუსეთი, რომელიც უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართულებით ქართული პროდუქციის ექსპორტი, თანაც იმ პირობებში, როდესაც საქართველოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი მათი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. საპასუხოდ კი ეთნიკურად ქართველო მოქალაქეები აცხადებენ, ერთმორწმუნე რუსეთმა გაუუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, აღკვეთა რელიგია (საბჭოთა კავშირის არსებობისას), გაანადგურა და გაძარცვა ქართული ეკლესია-მონასტრები, მიისაკუთრა საქართველოს ტერიტორიები და ქვეყნის 20 პროცენტზე მეტი დღემდე ოკუპირებულია რუსული არმიის მიერ, მიიჩნევენ, რომ რელიგიური ინსტიტუტები სომხეთსა და საქართველოში რუსეთი ძლიერი დასაყრდენია და ქვეყნის დამოუკიდებლობა ერთმორწმუნე დიდი ძმის გამო არ უნდა უარყო ან დათმონ.

ორგვარი რეაქცია გამოიწვია საქართველოს მიერ რუსეთისთვის საჰაერო სივრცის გახსნამაც, ერთნი თვლიან, რომ საქართველოს არ უნდა გაეტარებინა ოკუპანტი ქვეყნის სამხედროები, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ამგვარად საქართველო სომხეთისა და აზეზაიჯანისთვის სასარგებლოდ მოქმედებდა, რათა ორივე ქვეყნამ განაცხადა რუსეთის სამშვიდობოების ყარაბაღის რეგიონში განთავსების შესახებ თანხმობა და თხოვნით მომართა საქართველოს რუსი სამხედროების გატარების თაობაზე, საქართველომ კი, როგორც სომხეთისა და აზერბაიჯანის მეგობარმა სახელმწიფომ მათი ეს თხოვნა დააკმაყოფილა.

კონფლიქტის მოგვარების გზად ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელი მოქალაქეებს ისტორიიული სამართლიანობა ესახებათ, თუმცა ქართველები ფიქრობენ, რომ რეგიონში მშვიდობისთვის

სომხეთმა უნდა შეწყვიტოს აზერბაიჯანის ტერიტორიების ოკუპაცია, გადასცეს მას დაპყრობილი ტერიტორიები, არ აყვეს რუსეთის მიერ წაქეზებულ და პროვოცირებულ კონფლიქტს, გახდეს აწმყოზე ორიენტირებული და ჩაეტიოს საერთაშორისო სამართლით დადგენილი ტერიტორიის ფარგლებში.

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი მწუხარებას გამოთქვამს იმ ადამიანურ მსხვერპლზე, რომელიც ორივე მხარეს აქვს, ემხრობა საქართველოს ნეიტრალიტეტს, და იმედოვნებს - მომავალში მიანც კავკასიის ქვეყნების მშვიდობიან თანაცხოვრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ნეტგაზეთი. (2020ა, დეკემბერი 10) ერდოღანს სამხრეთ კავკასიაში ,,ექვსეულის პლატფორმის“ შექმნის სურვილი აქვს. https://www.facebook.com/netgazeti/posts/10159303113467044 [ფეისბუქპოსტი] აღებულია https://netgazeti.ge/news/505105/?fbclid=IwAR0Nl5lse6bgjsVFTSr6BaW4nwhGlIkkPeYNfKvZhvXiukdKHHYys20-wU4 ნანახია 19.12.20 21:22სთ-ზე
- ნეტგაზეთი. (2020ბ, ნოემბერი 13) მოსახლეობის ნაწილი საკუთარ სახლს წვავს კელბაჯარის აზერბაიჯანისთვის გადაცემამდე. https://www.facebook.com/netgazeti/posts/10159231596097044 [ფეისბუქპოსტი] აღებულია https://netgazeti.ge/news/498288/?fbclid=IwAR0ZmIYiLCnQ6MV5JFHqPAtyAnAhHSYXF9LkC6dSVlvAPcdoEmRn3TBv4QA ნანახია 19.12.20 22:08 სთ-ზე
- 3.ნეტგაზეთი. (2020გ, ნოემბერი 11) რუსი სამშვიდობოები ყარაბაღში საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით გადაჰყავთ. https://www.facebook.com/netgazeti/posts/10159227570872044 [ფეისბუქპოსტი] აღებულიაhttps://netgazeti.ge/news/497720/?fbclid=IwAR3gS7UarMcTIPDUWcNL9AwziofqgRKQuV7CMZKy7OqOQw5feu1DS0qEMSY ნანახია 19.12.20 23:08 სთ-ზე
- ნეტგაზეთი. (2020დ, ნოემბერი 13) სომხეთის კათალიკოსი ფაშინიანს გადადგომისკენ მოუწოდებს/აქციები ერევანში. https://www.facebook.com/netgazeti/posts/10159297690537044 [ფეისბუქპოსტი] აღებულია https://netgazeti.ge/news/504293/?fbclid=IwAR00P5ksi_W6C5v6NCXDFknPPtaCYGAMhdZlxHegm27Df9iwem_RIh2uMHE ნანახია 19.12.20 22:37 სთ-ზე
- ნეტგაზეთი. (2020ე, ნოემბერი 10) რუსი სამშვიდობოები ყარაბაღისაკენ უკვე დაიძრნენ - რუსეთის თავდაცვის სამინისტრო.

https://www.facebook.com/netgazeti/posts/10159224157972044 [ფეისბუქ პოსტი] აღებულია https://netgazeti.ge/news/497143/?fbclid=IwAR06R3IpumL7DpNma-BKGSrGxQKqUtWfAxSjvl-lJin-D16rriYwJ75I4iI ნანახია 19.12.20 23:16სთ-ზე

- ნეტგაზეთი. (2020ვ, სექტემბერი 28) თურქეთისა და რუსეთის ინტერესები და საქართველოს როლი ყარაბაღის კონფლიქტში. https://www.facebook.com/netgazeti/posts/10159112650652044 [ფეისბუქ პოსტი] აღებულია https://netgazeti.ge/news/485330/?fbclid=IwAR1d43KJXkMhv55yMyz_P7zGJMqKC3UCQRm42qy-js9zWGZsH8EhTDrcEmI ნანახია 20.12.20, 3:33 სთ-ზე.
- რადიოს თავისუფლება. (2020ა, დეკემბერი 16) მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის რამდენიმე ათეული სამხედრო ჩავარდა ტყვედ. https://www.facebook.com/radiotavisupleba/posts/10159119387652360 [ფეისბუქ პოსტი] აღებულია https://www.radiotavisupleba.ge/a/31004281.html?fbclid=IwAR3vJZ2oT0j82reKPZ4fx1Jy1GponCs1TWvaKWD44ActZ_UyJ9IYQ7Um1Fo ნანახია 20.12.20 19:12სთ-ზე
- რადიოს თავისუფლება. (2020ბ, დეკემბერი 17) პუტინმა კვლავ გაიმეორა, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიაა. https://www.facebook.com/radiotavisupleba/posts/10159121969217360 [ფეისბუქ პოსტი] აღებულია https://www.radiotavisupleba.ge/a/31006207.html?fbclid=IwAR2jx_Q0PvnQp9VvrMOPMvG0ewL_KoqXaKjxELlIkR9RNIo_b7qDhH3AiOg ნანახია 20.12.20 18:53 სთ-ზე
- რადიოს თავისუფლება. (2020გ, ნოემბერი 26) აზერბაიჯანის პარლამენტი მოუწოდებს ქვეყნის მთავრობას, გაიწვიოს საფრანგეთი ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეობიდან.

https://www.facebook.com/radiotavisupleba/posts/10159069508687360 [ფეისბუქ პოსტი] აღებულია https://www.radiotavisupleba.ge/a/30970160.html?fbclid=IwAR2tVeTTMr8UAXSfGmm8-Q3LfdYIBVU8UoxYrG4uWJbTJUXO7dIog4Kq75k ნანახია 20.12.20. 22:15 სთ-ზე

- რადიოს თავისუფლება. (2020დ, ნოემბერი 15) წაგებული, გამარჯვებული, გახარებული. https://www.facebook.com/radiotavisupleba/posts/10159041864032360 [ფეისბუქ პოსტი] აღებულია https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98/30941087.html?fbclid=IwAR3r8VxNBNt5XsqrlAYbTx1a9vWVbJTMCxFKaCSCbnVFF8bXfDvUivex3Xc ნანახია 20.12.20 23:34 სთ-ზე
- სამხრეთ კავკასიის ამბები. ნეტგაზეთი. (2020ზ, ოქტომბერი 7) ერევანი უარყოფს ბაქოს განცხადებას ყარაბაღში ქურთი მებრძოლების შესახებ. https://www.facebook.com/groups/southcaucasusnews/permalink/1228367127518589/ [ფეისბუქ პოსტი] აღებულია https://netgazeti.ge/news/488144/?fbclid=IwAR0D43qdAT3CKMTMfqymitvNUwcyOELt1cx-r5VYB7Wu-IylQYDQMukqzHU ნანახია 20.12.20 16:35 სთ-ზე

Tina Tskhovrebadze

The Nagorno Karabakh Conflict - Positions of the ethnically Armenianian, Azerbaijani and Georgian Citizens of Georgia (Analyzing Debates on Social Platform Facebook)

Abstract

The South Caucasus region is known for ethnic diversity and multicultural reasons and also for the conflicts in the countries of the region: Georgia, Armenia and Azerbaijan. The conflict between Armenia and Azerbaijan has different kind of aspects. Most of features impact internal politics in each country of the South Caucasus region and give new direction in interregional relationships of the Caucasus countries and their neighbours. The paper discusses opinions regarding the conflict in the Nagorno Karabakh viewed from the perspective of society of Georgia. As long as both the Armenians and the Azerbaijanis live in Georgia, it is interesting to study the attitudes of those two ethnic groups and the mainstream ideas of ethnic Georgian citizens of Georgia. The research uses a Qualitative research Content analysis method. The research materials are Facebook pages of the popular two news platforms –"The Netgazeti" and "The Radio Tavisufleba" ("The Radio Freedom") that cover news on the Nagorno Karabakh, and Facebook users have an opportunity to express their opinions in regard the issue. The challenge of the study was possible regulations of the editing board of the news platform on Facebook, according to the rules the comments with the content of hate speech, aggression and disrespecting others' freedom, are deleted. As a result, the research gives a picture of the general opinions of the Georgian

society about the ongoing process in the Caucasus Region.

Key words: Georgia, Armenia, Azerbaijan, Russia, Turkey, Ethnic Minorities, Nagorno Karabakh